ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2925218001**
თარიღი:**06/08/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩის მაცხოვრებლებმა, (N 19/29250271-29, 27.01.2025 წ.), რომლებიც ითხოვენ საკრებულოს მიერ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება სოფელ ოდილაურის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკითხი განსახილველად დაეწერა იურიდიულ საკითხთა კომისიას, სადაც საკითხის განხილვის პროცესში გაიმართა კონსულტაციები სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩის მცხოვრებ მოქალაქეებთან.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ დადგინდა, რომ სოფელ ოდილაურში, 1980 წლის 2 თებერვალს დაბადებული სერჟანტი გივი სახელაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა 2008 წელს საქართველოში, რუსეთსა და საქართველოს შორის გამართულ საომარ მოქმედებებში და მისი დაღუპვიდან გასულია 17 წელი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადასტურებს, რომ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, სერჟანტი გივი სახელაშვილი არის საზოგადო მოღვაწე, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს წინაშე სამშობლოს დაცვის საქმეში და მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩას მიენიჭოს გივი სახელაშვილის სახელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების“ შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“-ს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩის მაცხოვრებლების 2025 წლის 27 იანვრის N19/29250271-29 განცხადების, სოფელ ოდილაურის მე-9 ქუჩის მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ამსახველი 2025 წლის 10 თებერვლის სხდომის ოქმის, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2025 წლის 05 აგვისტოს N4 დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურის მეცხრე ქუჩისათვის, (მეცხრე ქუჩის პირველი ჩიხი, მეორე ჩიხი, პირველი შესახვევი) საზოგადო მოღვაწის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭება - მოცემული ცხრილით განსაზღვრული და ქუჩის გავრცელების X და Y კოორდინატების

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

შესაბამისად:

x	y	x	y
311998	312103	312284	312644
4677048	4676364	4676285	4676174

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2025 წლის 05 მარტის განკარგულება N გ.29.29250644 ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მეცხრე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ“;

მუხლი 3. განკარგულება ძალშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

გიორგი ბარათაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე